

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის  
საკვალიფიკაციო მოთხოვნები

**მუხლი 1. კვალიფიკაცია და გამოცდილება**

1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების (შემდგომში - საჯარო დაწესებულება) დირექტორი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე და ფლობდეს სახელმწიფო ენას, ასევე აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს:

2. საჯარო დაწესებულების დირექტორს:

ა) აქვს უმაღლესი განათლება ნებისმიერ დარგში, ან უმაღლესი პროფესიული განათლება ადრეული და სკოლამდელი განათლების დარგში;

ბ) აქვს დაწესებულებაში/ორგანიზაციაში ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 1 წლის ან/და მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

**მუხლი 2. სამართლებრივი აქტების ცოდნა**

1. საჯარო დაწესებულების დირექტორმა უნდა იცოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტები:

ა) „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;

ბ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;

დ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

ე) კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ.

**მუხლი 3. სხვა საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები**

1. საჯარო დაწესებულების დირექტორი უნდა იცნობდეს:

ა) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს;

ბ) ბავშვის ჯანმრთელობის, ჯანსაღი კვების, უსაფრთხოების დაცვის პრინციპებს;

გ) ინკლუზიური განათლების პრინციპებს;

დ) უნივერსალური დიზაინის პრინციპებს;

ე) განათლების ძირითად თეორიებს;

- ვ) კვლევის მეთოდებს განათლებაში;
- ზ) ადრეული განათლების თავისებურებებს და პრინციპებს;
- თ) ორგანიზაციული ქცევის თეორიულ საფუძვლებს;
- ი) ლიდერობის თანამედროვე თეორიებს;
- კ) სტრატეგიული გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პრინციპებს.
- ლ) ფინანსური მართვის საფუძვლებს;
- მ) პროექტის შემუშავების და მართვის პრინციპებს;

2. საჯარო დაწესებულების დირექტორს უნდა შეეძლოს:

- ა) ადამიანური რესურსების მართვა;
- ბ) მოლაპარაკების წარმოება და ადვოკატირება;
- გ) სტრესულ სიტუაციებში მუშაობა;
- დ) პრაქტიკული კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, შედეგების ანალიზი;
- ე) დაწესებულების მუშაობის ეფექტურობის შეფასება;
- ვ) დოკუმენტაციის წარმოება;
- ზ) კომპიუტერულ პროგრამებში Word, Excel, Power Point მუშაობა;
- თ) დოკუმენტაციის ელექტრონული და ბეჭდური ფორმით წარმოება.

#### **მუხლი 4. საჯარო დაწესებულების დირექტორად მიღების დაუშვებლობა**

1. საჯარო დაწესებულების დირექტორად არ მიიღება პირი, თუ:

- ა) იგი ნასამართლევაა განზრახი დანაშაულისთვის;
- ბ) მან არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის მიხედვით ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს.